

# ქიოლოებია



გოსცავლის სახელმძღვანელო  
გუნების გეოტექნიკი

მალხაზ მაყაშვილი  
მარინა ჯალიაშვილი  
მარინა სეხნიაშვილი  
რუსუდან ახვლედიანი

# ქიორებია

## IX კლასი

### მოსწავლის წიგნი

გრიფი მიენიჭა 2012 წელს  
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ



2012

მალხაზ მაყაშვილი  
მარინა ჯალიაშვილი  
მარინა სეხნიაშვილი  
რუსუდან ახვლედიანი

## პიოლოგია

IX კლასი

მოსწავლის წიგნი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ბექა საჩატუროვი

- © მალხაზ მაყაშვილი, მარინა ჯალიაშვილი, მარინა სეხნიაშვილი,  
რუსუდან ახვლედიანი 2012
- © გამომცემლობა „კლიო“, 2012
- © გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012  
ყველა უფლება დაცულია

Malkhaz Makashvili, Marina Jaliashvili, Marina Sekhniashvili, Rusudan Akhvlediani  
Biology  
9<sup>th</sup> grade textbook

ISBN 978-9941-415-73-9



გამომცემლობა „კლიო“

აღმაშენებლის გამზირი 181, თბილისი, 0112, საქართველო

ტელ.: (+995 32) 234 04 30

E-mail: [book@klio.ge](mailto:book@klio.ge)

[www.klio.ge](http://www.klio.ge)



გამომცემლობა „მერიდიანი“

აღ. ყაზბეგის გამზ. 47, თბილისი, 0112, საქართველო

ტელ.: (+995 32) 239 15 22

# შინაარსი

1 თავი. ცოცხალი სისტემის ნიშნები . . . . .	8
1.1 სიცოცხლის ძირითადი თვისებები. . . . .	8
1.2 ზრდა და განვითარება . . . . .	10
1.3 კვება, სუნთქვა. . . . .	12
1.4 გამოყოფა (ექსკრეცია), მოძრაობა, გაღიზიანებადობა . . . . .	16
1.5 ბიოლოგიური ორგანიზაციის დონეები. . . . .	19
2 თავი. გენეტიკა და სელექცია. . . . .	21
2.1 მიტოზი . . . . .	22
2.2 ჰომოლოგიური ქრომოსომები. მეიოზი . . . . .	24
2.3 მეიოზის მიმდინარეობა. . . . .	27
2.4 ქრომოსომების სხვადასხვა ჰომოლოგიური წყვილის დამოუკიდებელი გადანაწილება მეიოზის პროცესში. . . . .	29
2.5 ორგანიზმის ნიშან-თვისებებს განაპირობებენ გენები . . . . .	31
2.6 ალელების განაწილება სასქესო უჯრედებში. ნიშან-თვისებათა დამემკვიდრების კანონზომიერება . . . . .	34
2.7 ნიშან-თვისებათა დამემკვიდრების კანონზომიერება . . . . .	36
2.8 ნიშან-თვისებების დამემკვიდრება, სქესის განსაზღვრა. . . . .	38
2.9 ნიშან-თვისებების დამემკვიდრება ცხოველებსა და მცენარეებში . . . . .	41
2.10 გრეგორ მენდელის შრომები . . . . .	44
2.11 ალელების სხვადასხვა წყვილის დამემკვიდრების კანონზომიერება. . . . .	47
2.12 გენეტიკური დაავადებები . . . . .	49
2.13 გენეტიკური დარღვევების მქონე ადამიანები . . . . .	52
2.14 მოდიფიკაციური ცვალებადობა. სელექცია . . . . .	56
3 თავი. ევოლუცია . . . . .	59
3.1 ცოცხალი სამყარო ცვალებადია. . . . .	60
3.2 გარდამავალი ფორმები. განამარხებული ფორმების ასაკის დადგენა . . . . .	64
3.3 ჟან ბატისტ ლამარკი და ჩარლზ დარვინი . . . . .	66
3.4 არსებობისათვის პრძოლა და მისი ფორმები . . . . .	68
3.5 პოპულაცია. ნიშან-თვისებათა ცვლილება პოპულაციაში . . . . .	71
3.6 გენების დრეიფის მოდელირება. ბოთლის ყელის ეფექტი . . . . .	75
3.7 დამფუძნებლის ეფექტი. იზოლაცია . . . . .	77
3.8 ბუნებრივი გადარჩევა – ევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ძალაა . . . . .	80
3.9 სქესობრივი გადარჩევა. კოევოლუცია. ბუნებრივი გადარჩევის შედეგი . . . . .	85
3.10 შეგუებულობები . . . . .	88
3.11 მიკროევოლუცია. მაკროევოლუცია. დივერგენცია, კონვერგენცია . . . . .	91
3.12 ევოლუციის დამამტკიცებელი სხვა საბუთები . . . . .	94
3.13 ხელოვნური გადარჩევა . . . . .	97

4 თავი. ეკოლოგია . . . . .	99
4.1 აბიოტური ეკოლოგიური ფაქტორები . . . . .	100
4.2 ბიოტური ფაქტორები . . . . .	102
4.3 . ეკოლოგიური ფაქტორების ინტესივობა . . . . .	104
4.4 პოპულაციის რიცხობრიობაზე მოქმედი ფაქტორები. . . . .	106
4.5 კვებითი კავშირები ეკოსისტემაში . . . . .	108
4.6 ენერგიის ნაკადი ეკოსისტემაში. ეკოლოგიური პირამიდები. . . . .	110
4.7 ნივთიერებათა წრებრუნვა ბუნებაში . . . . .	112
4.8 ბიომი . . . . .	115
4.9 ხმელეთის ბიომები. . . . .	117
4.10 მტკნარი წყლის ბიომები. . . . .	119
4.11 როგორ იცვლებიან ეკოსისტემები . . . . .	122
4.12 როგორ არღვევს ადამიანი კვებით ქსელებს? . . . . .	125
4.13 გლობალური ეკოლოგიური პრობლემები . . . . .	127

## 1.1 სიცოცხლის ძირითადი თვისებები



- რა სასიცოცხლო თვისებაა გამოსახული სურათზე?
- ცოცხალი ორგანიზმების რა თვისება უზრუნველყოფს სიცოცხლის უწყვეტობას დედამიწაზე?

როგორც იცი, ყველა ცოცხალ ორგანიზმს ახასიათებს **უჯრედული აგებულება**. სიცოცხლეს უჯრედში მიმდინარე პროცესები განაპირობებენ. ამ პროცესებიდან ერთერთი უმთავრესია **მეტაბოლიზმი** – ყველა ის ქიმიური რეაქცია, რომელიც უჯრედში მიმდინარეობს. მეტაბოლიზმის წარმართვისათვის საჭიროა **კვება** - ცოცხალი ორგანიზმები იღებენ გარემოდან საკვებს, რომელიც გამოიყენება მეტაბოლიზმისთვის აუცილებელი ენერგიის და სხვადასხვა სახის ნივთიერებების გამომუშავებისათვის. მოუნელებელი საკვები და მეტაბოლიზმის დროს წარმოქმნილი ნარჩენი ორგანიზმიდან გაიდევნება, ეს არის **გამოყოფა**. ცოცხალ ორგანიზმებს ახასიათებს სუნთქვა – ისინი შეითვისებენ გარემოდან უანგბადს, რომელიც მეტაბოლიზმში მონაწილეობს. **ჰომეოსტაზი** ცოცხალი ორგანიზმის უნარია ისე არეგულიროს სასიცოცხლო პროცესები, რომ დააკმაყოფილოს სიცოცხლისათვის აუცილებელი ყველა მოთხოვნა. მაგალითად: ორგანიზმი მუდმივად აკონტროლებს მეტაბოლიზმს, აჩქარებს ან ანელებს მას საჭიროების მიხედვით. ჰომეოსტაზს უზრუნველყოფს **გალიზიანებადობა** – ცოცხალი ორგანიზმის უნარი, უპასუხოს მასზე მოქმედ გარემო გამლიზიანებულებს. მაგალითად, გარემოში ტემპერატურის მატებაზე ორგანიზმი პასუხობს ოფლდენით და ინარჩუნებს საკუთარ, შედარებით მუდმივ ტემპერატურას რაც აუცილებელია მეტაბოლიზმის ნორმალური წარმართვისათვის. ცოცხალ ორგანიზმებს ახასიათებს **მოძრაობა** – ისინი გადაადგილდებიან სივრცეში საკვების, საცხოვრებლად უკეთესი პირობების, გამრავლებისათვის მეწყვილეს ზებნაში. მოძრაობა გამოიხატება აგრეთვე, სხეულის ცალკეული ნაწილების ამოძრავებაში, მაგ. როდესაც მცენარის ღერო მზისკენ იხრება, შენ ამოძრავებ ხელს, ცხენი იქნევს კუდს და სხვ. როდესაც ყველა სასიცოცხლო ფუნქცია ნორმალურად მიმდინარეობს, ცოცხალი ორგანიზმი იზრდება, ვითარდება და გარკვეულ პერიოდში მრავლდება. **ზრდა** ერთუჯრედიან ორგანიზმებში გამოიხატება უჯრედის ზომის მატებაში. მრავალუჯრედიან ორგანიზმებში მატულობს უჯრედების რაოდენობა, ორგანოები და შესაბამისად მთელი ორგანიზმი ზომაში იზრდება. ზრდას ახლავს ორგანიზმის ფუნქციების სრულყოფა და სქესობრივი მომწიფება – ცოცხალი არსება იძენს გამრავლების უნარს. **გამრავლება** ნიშნავს ახალი ორგანიზმის წარმოშობას.


გამრავლება არის ორგანიზმის უნარი, წარმოქმნას თავისი მსგავსი ორგანიზმი. არსებობს ორგანიზმთა გამრავლების ორი გზა: უსქესო და სქესობრივი გამრავლება. უსქესო გამრავლებაში, როგორც წესი, მონაწილეობს მხოლოდ ერთი ინდივიდი. ამიტომ მიღებული შთამომავალობა დედისეულის ასლია.

უსქესო გამრავლების ფორმები	
<b>უჯრედის შუაზე გაყოფა</b>	მონერები, პროტისტები
<b>შიზოგნონია</b> (უჯრედის ბირთვის თანმიმდევრული მრავლობითი გაყოფა და რამდენიმე უჯრედის წარმოშობა)	მაღარის ბლაზმოდიუმი, ზოგიერთი წყალმცენარე
<b>ფრაგმენტაცია</b> (სხეულის ნაწილიდან ახალი ორგანიზმის განვითარება.)	ზღვის ვარსკვლავა, ჰიდრა, პლანარია, ჭიაყელა
<b>დაკვირტვა</b> (განვითარება დედის ორგანიზმები წარმოქმნილი კვირტიდან)	ჰიდრა, საფუარი სოკოები, მარჯნის პოლიპები
<b>სპორებით გამრავლება</b>	ხასები, გვიმრები, ქუდიანი და ობის სოკოები
<b>ვეგეტატიური გამრავლება</b>	გამრავლება არა სასქესო ორგანოებით

სქესობრივ გამრავლებაში ძირითადად ორი ორგანიზმი-დედისეული და მამისეული მონაწილეობს და შვილეული ორგანიზმი ორივე მშობლისგან იღებს ნიშან-თვისებებს.



1. რა პროცესია გამოსახული სურათზე?
2. რა ხდება განაყოფიერების შემდეგ?
3. რა ნარმოადგენს ყვავილოვანი მცენარის სქესობრივი გამრავლების ორგანოს?
4. როგორია ყვავილის აგებულება?
5. რა არის დამტვერვა?
6. რა განსხვავებაა ქარითმტვერია და მწერითმტვერია მცენარის ყვავილებს შორის?
7. როგორ ხდება განაყოფიერება ყვავილოვან მცენარეებში?
8. როგორ მრავლდებიან ხავსები, გვიმრები, შიშველოვალოვნები?
9. რა უპირატესობა აქვს თესლით გამრავლებას სპორებით გამრავლებასთან შედარებით?



მდედრი ორგანიზმი ნარმოქმნის **გამეტას – კვერცხუჯრედს** (კვერცხს), მამრი კი **გამეტას – სპერმატოზიდს**. სპერმატოზოდი და კვერცხუჯრედი ერთმანეთს ერწყმიან – ხდება განაყოფიერება. განაყოფიერებულ კვერცხუჯრედს **ზიგოტა** ეწოდება.

ზოგოტა მრავალჯერ იყოფა, ნარმოიქმნება დიდი რაოდენობით უჯრედები, რომლებიც ქმნიან ქსოვილებს, ქსოვილები-დან იქმნება ორგანოები და ყალიბდება მთლიანი ორგანიზმი.

გარეგანი განაყოფიერების შემთხვევაში კვერცხი და სპერმატოზოდი ერთმანეთს ერწყმიან ორგანიზმის გარეთ. მაგალითად, მდედრი თევზები და ამფიბიები კვერცხს - ქვირითს ყრიან წყალში, მამრებიც წყალში გამოუშვებენ სპერმატოზოდებს და განაყოფიერებაც წყალშივე ხდება. ზიგოტიდან ახალი ორგანიზმის ჩამოყალიბება მშობლის სხეულის გარეთ ხდება.

შინაგანი განაყოფიერების შემთხვევაში სპერმატოზოდი შედის მდედრის ორგანიზმი და იქ მყოფ კვერცხუჯრედს ანაყოფიერებს. ზიგოტიდან ახალი ორგანიზმის ჩამოყალიბება დედის ორგანიზმი ხდება. გარკვეული დროის შემდეგ ახალი ორგანიზმი ტოვებს დედის და გამოდის მისი სხეულიდან – იბადება. ასე მრავლდებიან ძირითადად ძუძუმწოვრები.

ფრინველები და ქვეწარმავლებიც შინაგანი განაყოფიერებით მრავლდებიან. მათი კვერცხი ნაჭუჭით იფარება და ახალი ორგანიზმის განვითარება ამ ნაჭუჭის საფარქვეშ მიმდინარეობს. დრო რომ მოვა, ფრინველი ან ქვეწარმავალი კვერცხს დადებს – კვერცხი გამოდის დედის ორგანიზმიდან და ახალი თაობა უკვე დედის სხეულისაგან დამოუკიდებლად ამთავრებს განვითარებას, ტეხავს კვერცხის ნაჭუჭს და გარეთ გამოდის – იჩეკება.

### დავალება

1. იხვნისკარტა კვერცხის დებით მრავლდება, თუმცა მას ძუძუმწოვრებს მიაკუთვნებენ. როგორ ფიქრობ, რატომ?
2. რა უპირატესობა აქვს ცოცხალმშობიარობას კვერცხმდებელობასთან შედარებით?
3. რა დანიშნულება აქვს ნაყოფს ყვავილოვანი მცენარისთვის?
4. შენი აზრით, რატომაა ქარითმტვერია ყვავილების მტვრის მარცვლები უფრო მსუბუქი და მცირე ზომის?



